


ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი  
შრომები ტომი № 100

TRANSACTIONS OF THE INSTITUTE  
OF HYDROMETEOROLOGY IN  
GEORGIAN VOL.№100

ТРУДЫ ИНСТИТУТА ГИДРОМЕТЕОРОЛОГИИ ГРУЗИИ  
ТОМ № 100



ჰიდრომეტეოროლოგიისა და  
ეკოლოგიის პრობლემები

თბილისი – TBILISI – ТБИЛИСИ

1996

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის წინამდებარე საიუბილეო კრებული წარმოადგენს მეასე ტომს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შრომების ორმაგ ნუმერაციას, საბჭოთა პერიოდის ცალკეულ წლებში საიდუმლეობის გრიფით 6 კრებულის გამოცემასთან დაკავშირებით.

კრებულში შესულია ინსტიტუტის თანამშრომელთა მოხსენებები, რომლებიც მოსმენილი იყო მისი დაარსებიდან 40 წლისთავისადმი მიძღვნილ მაისის საიუბილეო სამეცნიერო სესიაზე (12-14 მაისი, 1993).

პირველი ორი მოხსენება ეძღვნება პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორიას და მისი სამეცნიერო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, აგრეთვე ინსტიტუტის დამაარსებლისა და პირველი დირექტორის ვლომინაძის ხსოვნას.

დანარჩენი მოხსენებები თემატურად დაყოფილია სამ ნაწილად – მეტეოროლოგია, პიდროლოგია, ეკოლოგია, რა მიმდევრობითაც ისინი იყვნენ წარმოდგენილი სესიაზე.

კრებული სასარგებლო იქნება მეტეოროლოგიის (ატმოსფეროს ფიზიკა), პიდროლოგიისა და გარემოს დაბინძურების დარგებში მომუშავე სპეციალისტებისათვის.

## უაკ 626

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დაარსების 40 წლისთავი/გ.სვანიძე/პმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100 - გვ.5-18 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

კავკასიაში და ნაწილობრივ საქართველოში გეოფიზიკური მეცნიერების განვითარებას საფუძველი დაუდო თბილისის მაგნიტურ-მეტეოროლოგიური ობსერვატორიამ 1844 წელს. აღნიშნული ობსერვატორიის ბაზაზე 1853 წელს დაარსდა თბილისის (ამიერკავკასიის) სამეცნიერო კვლევითი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი - ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი. მოცემულია ინსტიტუტის ძირითადი მიმართულებები და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შედეგები. ნაჩვენებია ის საერთაშორისო პროგრამები რომ-

ლებშიც მონაწილეობას დებულობენ ინსტიტუტის სპეციალისტები.

### **უაკ 058**

პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პირველი დირექტორის გლომინაძის ცხოვრება და მოღვაწეობა (დაბადების 80 წლისთვისათვის)/გ.სვანიძე,ნ.ბეგალიშვილი,ბ.ბერიტაშვილი/ჰმის შრომების კრებული -1996 - გ.100 - გვ.18-23 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

მოცემულია ორგანიზატორის და ამიერკავკასიის სამეცნიერო პვლევითი პიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის პირველი დირექტორის ვასილ ლომინაძის ცხოვრების და საქმიანობის ძირითადი მონაცემები. გადმოცემულია გლომინაძის როლი პიდრომეტეოროლოგიური მეცნიერების განვითარებაში ამიერკავკასიასა და საქართველოში. აღნიშნულია მისი როლი საერთაშორისო კონტაქტების დამყარებაში საზღვარგარეთის მეცნიერებობან და სპეცისალისტებთან.

### **მ ე ჭ ე რ რ ლ რ ბ ი ა**

### **უაკ 551**

საქართველოს ტერიტორიაზე ამინდის მოვლენების მონიტორინგის ცენტრალიზებული რადიოლოგაციური ქსელის პრაქტიკული რეალიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური დასაბუთება/გ.სვანიძე, ნ.ბერაძე, ნ.ბეგალიშვილი, ბ.ბახსოლიანი, ბ.ბერიტაშვილი, თ.სვანიძე/ ჰმის შრომების კრებული -1996 - გ.100 - გვ.24-28 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია რადიოლოგაციური ქსელის შექმნი აუცილებლობ პიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის მისაღებად საქართველოში. დასაბუთებულია პრაქტორებული შესაძლებლობა აღნიშნული ქსელის შექმნისა. დამუშავებულია მეთოდები ქსელიდან ინფორმაციის მიღების, სინთეზირების და ანალიზის. შეფასებულია ქსელის ეფექტურობა სხვადასხვა ასპექტებში.

### **უაკ 551.506**

ადამიანი-კომპიუტერის "დიალოგი", პერსპექტივები ამინდის პროგნოზის დარგში/ი.ჩოგოვაძე /ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.100 - გვ29-33 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

განხილულია ადამიანი-კომპიუტერის "დიალოგის" შესახებ კონცეფციის განვითარების გზები. ამინდის პროგნოზის ამოცანის გადაწყვეტის დროს.

### **უაკ 551.58**

ცალკეული მეტეორელემენტების საშუალოვადიანი პროგნოზის სქემების შემუშავება დინამიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით/გ.კორძახია, ს.კუპრაძე, მ.კაპანაძე, ც. სოხაძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.100 - გვ.34-39 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

შემუშავებულია დინამიკურ-სტატისტიკური მიდგომის საფუძვლებზე ექსტრემალური ტემპერატუპების, ნალექების დღედამური ჯამის, ფარდობითი სინოტივისა და ლრუბლიანობის საშუალოვადიანი (ყოველდღიური, 7 დღემდე) პროგნოზის მოდელები. ცალკეული მეტეორელემენტებისათვის განხილულია და გაანალიზებულია მიღებული შედეგები.

### **უაკ 551.509**

საპროგნოზო ამოცანებში პერსონის განტოლების რიცხვითი ამონების კომბინირებული მეთოდი/ჰ.მიქაშვიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.100- გვ.40-44 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

შემოთავაზებულია პუსონის განტოლების პიცხვითი ამონების ახალი, კომბინირებული მეთოდი, რომელიც ემყარება გამორიცხვისა და იტერაციის მეთოდების ერთობლივ გამოყენებას. მეთოდი გამოყენებულია გეოპოტენციალის პროგნოზის ამოცანაში. ოცემულია რიცხვითი ექსპერიმენტის შედეგები.

### **უაკ 551.524 : 509**

საქართველოს ტერიტორიისათვის ტემპერატურისა და სინოტივის მოკლევადიანი პროგნოზის რიცხვითი მოდელი/გ.კორძახია, ს.კუპრაძე, მ.კაპანაძე /ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.100- გვ.45-51 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

სინოტივისა და ტემპერატურის საპროგნოზო მოდელის შესაბუძავებლად გამოყენებულია ატმოსფერის ჰიდროდინამიკის ძირითადი განტოლებები, რომლებშიც ჩატარებულია ფიზიკურად დასაშვები გამარტივებები. კერძოდ, წევრები, რომლებიც აღწერენ ვერტიკალურ ცვლილებას (უწყვეტობის განტოლების გარდა) არ მიიღებიან მხედველობაში, ისევე როგორც ის წევრები, რომლებიც დაკავშირებული არიან სტერეოგრაფული ფაქტორის ცვლილებასთან.

### **უაკ 551.509**

გამოთვლითი არამდგრადობა და გაგლუვება. /ბ.მიქაშავიძე/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 -ტ.100- გვ.52-58 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხილულია გაგლუვების პროცედურის გამოყენების საკითხი საპროგნოზო დიუაკენციალური განტოლებების რიცხვითი ამოხსნისათვის მიახლოებითი მეთოდების გამოყენებით გამოწვეული არამდგრადობის ჩასახშობად. ნაჩვენებია გაგლუვების შედეგად მეტეოროლოგების ველების დამახინჯების ხარისხი და შემოთავაზებულია გაგლუვების ჩატარების ოპტიმალური სქემა.

ამახვილებულია ყურადღება გაგლუვების პროცედურის კოეფიციენტების ამოცანის რიცხვითი ამოხსნის დროითი ბიჯიდან დამოკიდებულებაზე.

### **უაკ 551.507.362.2**

კავკასიის ტერიტორიაზე ღრუბელთა და ნალექთა გელების კლასიფიკაცია და მოკლევადიანი პროგნოზი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მონაცემების გამოყენებით. /მ.ვათიაშვილი, ლ.შენგელია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100- გვ.59-66 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

განხორციელებულია ამიერკავკასიაზე საღრუბლო სისტემის ტიპიზაცია. მიღებულია საღრუბლო სიტუაციების 9 ტიპი და დამუშავებულია ღრუბელთა ველების ინტენსივობის პროგნოზის მეთოდიკა მაქსიმალური დამაჯერებლობის ფუნქციის გამოყენებით. გამოთვლები ჩატარებულია 9 მოდელისათვის, რომლებიც შეესაბამება T-500 რუკების მიხედვით პაერის მასების გადაადგილების გათვალისწინებით მიღებულ ღრუბელთა სისტემის 9 კლასს. გროვასაწვიმარი ღრუბლების ფორმირების ალბათობა

შეფასებულია ბაიესის ფორმულით. გამოვლენილია სუსტი, ზომიერი და ძლიერი ნალექების ფორმირების კრიტერიუმი.

### უაკ 551.582

ატმოსფერულ ზონდის მეთოდის გამოყენების პერსპექტივები ჰაერის მასების ტიპების დასახსიათებლად/მ.ბაზაძე, შ. დარჩია, ჯ.ვაჩნაძე, რ.სამუკაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100- გვ.67-72 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

ატმოსფერულ ზონდის პერსპექტივების ჰაერის მეთოდის გამოყენების პერსპექტივები ჰაერის მასების სხვადასხვა ტიპები. ქ.ობპიპსკის მაღლივ მეტეოროლოგიურ ანდაზე ჩატარებული ატმოსფერულ ზონდის მასალები შედარებულია საქართველოში მიწისპირა ფენაში აეროლოგიური კვლევის შედეგსდ მიღებულ სიდიდეებთან. განხილულია ჰაერის ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტი და ვარსკვლავთა ერთობის ამპლიტუდებს შორის მიღებული მრუდების ტიპების ნაირსახეობას შორის კავშირი.

### უაკ 551.582

თოვლის საფარისა და ქარბუქის რეჟიმი გოდერძისა და ჯვრის უღელტეხილებზე/ლ.პაპინაშვილი, ე.სუხიშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.73-78-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

თოვლის საფარისა და საშიში ქარბუქის მოვლენის მაჩვენებელთა კომპლექსური სტატისტიკური სტრუქტურის საფუძველზე დადგენილია მათი რეჟიმი გოდერძის და ჯვრის უღელტეხილებზე.

### უაკ 51:7.021.2.535.23:582.823

ჩაის პლანტაციის რიგების ფორმისა და ექსპოზიციის გავლენა მის რადიაციულ რეჟიმზე /შ.თევზაძე/ ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100- გვ.79-86 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

დადგენილია ჩაის პლანტაციის ზედაპირის ნებისმიერი წერტილის მზის პირდაპირი სხივებით განათების დაწყების და დასასრულის ვადები, პლანტაციის პარამეტრების გათვალისწინებით: რიგის განივევეთი, პლანტაციის ექსპოზიცია, რიგთაშორის მანძილი. ამოცანილია მცენარეთა რიგის მიურ შთანთქმული ჯამური რადიაციის გასაანგარიშებელი ფორმულა.

მიღებული გამოსახულებანი იძლევიან საშუალებას რათა ოპტიმალურად განისაზღვროს პლანტაციის პარამეტრები მისი გაშენების დროს, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავს ჩაის კულტურის პროდუქტიულობის გაზრდას.

### უაკ 626.8:931.432

დასავლეთ საქართველოს პირობებში სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის წყალუზრუნველოფის ოპტიმალური საზღვრების დადგენა პიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციის საფუძველზე/გ.ჩიკვაძე, ო.შეგელიძე/. ჰმის შრომების კრებული - 1996 - გ.100- გვ.87-91 - ქართ,რუს.,ინგ.

პიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებათა მასალების საფუძველზე დადგენილია ნიადაგის ტენიანობის, ჯამური აორთქლებისა და აორთქლებადობის რეჟიმები.

ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის აგებულია წყალმოხმარების მრუდები, რომლებიც აკავშირებენ ჯამური აორთქლების ინტენსივობას ნიადაგში ტენის მარაგთან მოცემული აორთქლებადობის დროს. სხვადასხვა ფაზათა შორისო პერიოდებისათვის მცენარეთა წყალმოხმარების სხვადასხვა შესაძლო შემცირებების დაშვების საფუძველზე განსაზღვრულია ნიადაგში ოპტიმალური ტენიანობის მარაგის დიაპაზონები.

### უაკ 551. 576

ურთიერთმოქმედ კონვექციურ ღრუბელთა ანსამბლის რიცხვითი მოდელირება/გ.რობიტაშვილი, ნ.ჯაფარიძე, ნ.ჩახვაშვილი/. ჰმის შრომების კრებული -1996 - გ.100 - გვ.92-96 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

წარმოდგენილია გროვა ღრუბელთა ანსამბლის თერმოპიდროდინამიკური მოდელი თროქლი-წყალი-ყინული სისტემაში ფაზური გადასვლების პარამეტრული გათვალისწინებით. ნაჩვენებია, რომ ღრუბელთა განვითარებას ბიძგს აძლევენ თერმიკები. შედარებით მსხვილი კონვექტური ღრუბლები წარმოიქმნებიან თერმიკებისა და შედარებით მცირე ღრუბელთა გაერთიანების ხარჯზე.

### **უაკ 551**

**ლრუბლის ნაწილაკების კოაგულაციის კინეტიკურ განტოლებათა სისტემის ზოგიერთი ანალიზური ამოხსნების შესახებ/ნ.ბეგალიშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ100 - გვ.97-104 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.**

კოშის ტიპის სივრცულად ერთგაროვანი ამოცანისათვის მოცემულია საღრუბლო ნაწილაკების კოაგულაციის კინეტიკურ განტოლებათა სისტემის ზუსტი ანალიზური ამოხსნები დისპერსიულ გარემოში გადამეტცივებული წვეთებისა და ყინულის კრისტალების შემოსვლის წყაროთა არსებობისას.

ამოხსნები მიღებულია სხვადასხვა სახის ნაწილაკთა საწყისი სპექტრისათვის კოაგულაციის მუდმივი კოეფიციენტით. ამოცანის საწყის პირობებზე და წყაროთა პარამეტრებზე დამოკიდებულებით მოცემულია თხევადი და მყარი ნალექების ნაწილაკთა წარმოქმნის ეფექტურობის შეფასება.

### **უაკ 551**

**აეროზოლების ქიმიური შემადგენლობის გავლენის შესწავლა ლრუბლიანობისა და ნალექების სტრუქტურის ფორმირებაზე. /მ.ვათიაშვილი, ი.პრეჯისი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ100 - გვ.105-111 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.**

შესწავლილია აეროზოლების ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა გავლენა ლრუბლებისა და ნალექების ფორმირებაზე. იტერატურეულ წყაროთა ანალიზის შედეგად მიღებულია დასკვნა, რომ სხვადასხვა ხსნად აეროზოლურ ნაწილაკებზე წვეთების წარმოქმნა ხდება მხოლოდ არჩეული ნივთიერებისთვის დამახასიათებელი ფარდობითი სინოტივის განსაზღვრული მნიშვნელობებისათვის.

შემოთავაზებულია ჰიგროსკოპულობის კრიტერიუმი, რომელიც დაფუძნებულია სხვადასხვა ნივთიერებათა ხსნარებისათვის ფარდობითი ტენიანობის გამოთვლაზე, ეპტექტიკის წერტილში ხსნარის პარამეტრებისა და ეპტექტიკის ტემპერატურიდან 60<sup>0</sup>ჩ ტემპერატურამდე ინტერვალში ნივთიერებათა წყალში ხსნადობის მიხედვით. მიღებული შედეგები გამოყენებულია თხევადი და მყარი ნალექების ფორმირების ასახსნელად.

### **უაკ 551. 576**

კონვექციური დრუბლის ოპერატიული რიცხვითი მოდელი/ნ.ბე-გალიშვილი, გ.რობიტაშვილი, ვ.შაქარაშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.112-117-ქართ.;რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

განხილულია კონვექციური დრუბლის ერთგანზომილებიანი არასტაციონალური რიცხვითი მოდელი. განტოლებათა სისტემა, რომელიც საფუძვლად უდევს მოდელს, აღწერს დრუბლიანი გარემოს თერმოპიდროდინამიკას მიკროფიზიკური პროცესების პარამეტრებით.

მოდელის გამოცდა ჩატარებულია გროვასაწვიმარი დრუბლების განვითარების დღეებში აგმოსუაკოს რადიოზონდირების მონაცემთა საფუძველზე და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში რადიოლოგიური დაკვირვების შედეგებზე დაყრდნობით.

მოდელი შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნალექთა ხელოვნური რეგულირების ოპერატიულ სამუშაოებში კონვექციური დრუბლებისა და ნალექთა დიაგნოსტიკისათვის.

### **უაკ 551**

მდლავრი კონვექციის დრუბელზე ზემოქმედების პიპოთეზის გამოკვლევა არასტაციონალური დერმულად სიმეტრიული რიცხვითი მოდელის საშუალებით./ი.რუხაძე, ნ.ბეგალიშვილი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.118-125 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

მოვანილია შედეგები რიგი რიცხვითი ექსპერიმენტებისა კონვექციურ დრუბლებში კრისტალიზირებული რეაგენტები შეფანის მოდელირებაში ნალექთა ხელოვნური გაზრდის მიზნით, დამადსტურებელი ზემოქმედების მიკროფიზიკური პიპოთეზისა.

## **ჟ ი დ რ თ ლ რ ბ ი ა**

### **უაკ 556.06 : 556.166**

საქართველოს მდინარეთა პიდროლოგიური პროგნოზების სრულყოფა/ც.ბასილაშვილი, ლ. სიღოროვა, ვ.ცომაის/ჰმი-ს შრომების კრებული-1996-ტ.100-გვ.126-131-ქართ.;რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

მდინარეთა ჩამონადენის საპროგნოზო სრულყოფისათვის გამოყენებულია საპროგნოზო მოდელი, რომელშიც კომპლექსურადაა გათვალისწინებული ჩამონადენის მთავარი მაფორმირებელი

ფაქტორები. ინფორმაციული პრედიქტორების შერჩევა მოხდა ობიექტური სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე.

შემუშავებულია საპროგნოზო მეთოდები საქართველოს მდინარეთა წყალდიდობის კვარტალური, დეკადური და თვიური ჩამონადენისა. გარდა ამისა, ზოგიერთი მათგანისათვის შემუშავებულია დღე-დამური ხარჯებისა და წყალდიდობისა და წყალმოვარდნების მაქსიმალური ხარჯების პროგნოზები.

### უაკ 556.53

საქართველოს წყლის ობიექტების აღრიცხვის მეცნიერული და საბუთება და მისი გამოყენების პერსპექტივები/გ.სვანიძე, ვ.ცომაია, ვ.ფოთოლაშვილი, ლ.სიდოროვა, ც.ბასილაშვილი, ლ.გლინსკაია, გ.საბაძე, ს.სრეუსელი, ზ. ფიცხელაური/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.132-137 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

აღნიშნულია, რომ საქართველოს 32200 მდინარეებიდან 1964 წელს გამოცემულ ცნობარებში ნაჩვენებია მხოლოდ 1009 მდინარე (3%). ასევე ნაჩვენებია, რომ წლიდან წლამდე ქვევნის ეპონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება იმ მდინარეთა რიცხვი, რომლებთაც აქვთ სამეურნეო მნიშვნელობა და ამის გამო საჭიროა მათი წყლიანობის რეჟიმის ბუნებრივი და ანთროპოგენული ფაქტორების გავლენის შესწავლა.

მდინარეების ახალი სია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია. იგი შეიცავს ინფორმაციას ყველა მდინარეების შესახებ (სიგრძეს და დახრილობას, ჰყალშემკრები აუზის ფართობს და სიმაღლეს, როგორც მდინარის მთელ სიგრძეზე ასევე უბნების მიხედვით, შენაკადების კატეგორიას მთავარი მდინარის მიმართ და სხვა).

### უაკ 551.578

ჰიდროლოგიური გამოკვლეულებისა და პროგნოზების ეკონომიკური ეფექტურობა ამიერკავკასიის პირობებში/ლ.სიდოროვა, ლ. გლინსკაია, ვ.ცომაია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.138-142 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

განხილულია წყალსაცავებში შემოსული წყლის წინასწარმეტყველებისათვის გაცემული ჰიდროლოგიური პროგნოზების ეკონომიკური ეფექტიანობის საკითხები. მოცემულია სოფლის

მეურნეობისათვის (ირიგაცია) გამოყენებული პიდროლოგიური ინფორმაციების, ასევე ტრანსპორტის უსაფრთხო მოძრაობისათვის (გზების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, ზვავსაწინააღმდეგო გალერიების მშენებლობა და ექსპლუატაცია) ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება.

### უაკ 556.333.93

საქართველოს სამედიორაციო სისტემების პროექტირებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო კომპლექსური წყალბალანსური გა-მოგვლევები/გ.ჩიკვაძე, ო.შველიძე, ო.გელაძე/. პმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.100-გვ.143-147 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

მიწების მორწყვის, დაშრობისა და განმარილიანების მელიორაციული სისტემების წარმატებით პროექტირებასა და ექსპლუატაციის აუცილებლად წინ უნდა უსწრებდეს განსაზღვრული საანგარიშო ელემენტების ცოდნა, რომელთა დადგენა ხდება შესაბამისი სამეცნიერო-ექსპერიმენტაციური წყალბალ;ანსური გამოკვლევების საფუძველზე. ამის შედეგად მელორირებული მასივებისათვის ხდება წყლის, სითბური და მარილების ბალანსების რაოდენობრივი მაჩვენებლების დადგენა.

### უაკ 551.311.21.627.157

კატასტროფული წყალკმოვარდნების გავლენა მთის მდინარეების კალაპოტების დინამიკაზე/ვაჟტავაძე, ნ.რუხაძე, ბ.ყოჩიაშვილი, გ. ხერხეულიძე/პმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.145-152 - ქართ.;რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

განხილულია კატასტროფული წყალმოვარდნების და ღვარ-ცოფების ზეგავლენით გამოწვეული მთის მდინარეებზე კალაპოტური პროცესების და მყარი ჩამონადენის რეგიმული მახასიათებლების ცვლილებები. შეფასებულია აღნიშნული ცვლილებების შესწავლილობის, მათზე დაკვირვების უზრუნველყოფის არსებული მდგომარეობა და პიდროტექნიკურ ნაგებობის მდგრადობაზე მათი გავლენის პროგნოზირების შესაძლებლობაზი. დასკვნები და შედეგები დაურდნობილია საქართველოს მდინარეების რიგ დამახასიათებელ მონაკვეთებზე სპეციალური დაკვირვებების და სტატისტიკური მონაცემების ანალიზზე.

### **უაკ 555.311.21:627.141.1**

საქართველოში დგარცოფული მოვლენების მონიტორინგის ამოცანები და შესაძლებლობები/გ.ხერხეულიძე/პმი-ს შრომების კრებული -1996 -ტ.101 გვ.153-157 - ქართ.; ქართ, რეზ.: რუს.,ინგ.

წარმოდგენილია საქართველოში დგარცოფულ მოვლენებზე დაკვირვებათა საორგანიზაციო სტრუქტურების, ტექნიკური საშუალებების და სამეცნიერო-მეთოდური უზრუნველყოფის არესტული მდგრამარეობის შეფასება.

განსაზღვრულია დგარცოფული მონიტორინგის განვითარების ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა: დგარცოფული საშიშ-როების სხვადასხვა დროულობით პროგნოზირების უზრუნველსაყოფად; დატბორვის და მოსალოდნელი ზარალის ზონების განსაზღვრისათვის საჭირო ჩამონადენის და კალაპოტური მახასიათებლების და პარამეტრების დასადგენად, რაც ხელს შეუწყობს ადამიანის სამეცნიერო საქმიანობის ოპტიმიზაციას დგარცოფსაშიშ რაიონებში.

განიხილება დგარცოფწარმომქმნელი ნალექების შესწავლისა და შეფასების შესაძლებლობანი

### **უაკ 551.578.48**

თოვლის ზვავების ჩამოსვლის პროგნოზი პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით./თ.სიმონია, მ.კარტაშოვა/პმი-ს შრომების კრებული-1996-ტ.100-გვ.158-161, ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

წარმოდგენილია თოვლის ზვავების ჩამოსვლის პროგნოზის სტატისტიკური სქემა პარამეტრული და არაპარამეტრული დისკრიმინანტული ანალიზის მეთოდების გამოყენებით საფუძველზე. განხილულია სხვადასხვა პრედიქტორები და განხორციელებულია მათგან ყველაზე რეპრეზენტატულის არჩევა. პროგნოზები გამოივლება ეგმ-ზე შემუშავებულ პროგრამა "ზვავის" მეშვეობით. როგორიცაა საერთო გამართლება 95%-ს შეადგენს.

### **უაკ 557.578.48**

გურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება/ლ. ქალდანი, მ.სალუქაძე/პმი-ს შრომების კრებული -1996-ტ.100-გვ.162-166-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.

ზვავწარმომქმნელი ფაქტორების თავისებურებათა, საარქივო ლიტერატურული, ექსპედიციური და კარტოგრაფული მასალების ანალიზის საფუძველზე დადგენილია კურორტ ბახმაროს ზვავსაშიშროება. კერძოდ, განსაზღვრულია 32 ზვავშემკრების გავრცელების საზღვარი და მორფომეტრიული მაჩვენებლები, გამოვლენილია რეჟიმი და გამოთვლილია ზვავების დინამიკური მახასიათებლები, შედგენილია ზვავშემკრებების გავრცელების მსხვილმაშტაბიანი რეჟიმი. ზვავწარმომქმნელი ფაქტორების (რელიეფი, კლიმატი, მცენარეულობა) თავისებურებათა და ზვავსაშიშროების გათვალისწინებით შემუშავებულია ზვავებისაგან კურორტ ბახმაროსდაცვის ზვავსაწინააღმდეგო ბრძოლის დონისძიებების რეკომენდაციები.

## ე პ ო ლ ო ბ ი ა

### **უაკ 502.7**

**საქართველოს გარემოს დაცვის კონცეპტუალური საფუძვლების შესახებ/გ.გაჩეჩილაძე/ჰმი-ს შრო-მები -1996 - ტ.101 გვ.167-175 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

განხილულია საკითხები, დაკავშირებული რესპუბლიკის ახალი ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირებასთან, რომლებიც ეყრდნობიან საზრდოების განვითარებული ქვეყნების მიღწევათა ანალიზს და ამავე დროს გათვალისწინებულია საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი. შემთავაზებულია სახელმწიფო ეკოლოგიური სამსახურის რეორგანიზაციის პროგრამა.

### **უაკ 551.510.42**

**ატმოსფეროს დაბინძურების პროგნოზის სტატისტიკური მეთოდის შესახებ/გ.გუნია, პ.ჯანელიძე, რ.სარალიძე/ჰმი-ს შრომების კრებული-1996-ტ.100-გვ.176-180-ქართ.; რეზ.: ქართ, რუს., ინგ.**

ნაშრომში მოტანილია ავტორების მიერ ქ.ზესტაფონის მაგალითზე შემუშავებული ატმოსფეროს დაბინძურების ფიზიკურ-სტატისტიკური პროგნოზის მეთოდი. ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა რეგრესიული ანალიზი. ამასთან რეგრესიის განტოლების დადგენა ეყრდნობოდა უმცირეს კვადრატო მეთო-

დის გამოყენებას, ხოლო ნორმალურ განტოლებათა სისტემა ამ-  
ონებსნა პოლეცის მეთოდით.

### **უაკ 502.7 : 679**

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის რადიოიზო-  
ტოპური შედგენილობისა და დაჭუჭყიანების კანონზომიერებების  
შესწავლა/ლ.ინწყორველი, თ.ხმიადაშვილი/ჰმი-ს შრომების კრე-  
ბული -1996 - ტ.100- გვ.181-184 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

შესწავლითია საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული  
ჰაერის გაჭუჭყიანება ანთროპოგენული წარმოშობის რადიონუ-  
ლი-დებით. დადგენილია,რომ: ატმოსფეროს მიწისპირა ფენის გა-  
ჭუჭყიანებაში ძირითადი წვლილი შეაქვს იზოტოპებს: ცერიუმ-  
144, რუთენიუმ-106, ბერილიუმ-7, ცეზიუმ-137:

აღინიშნება ატმოსფერო მიწისპირა ფენებში რადიონუკლიდე-  
ბის შემცველობის სეზონური მერყეობა. კერძოდ, აღინიშნება  
პკეთრად გამოხატული გაზაფხულისა და შემოდგომის მაქსიმუ-  
მები და ზამთარის და ზაფხულის მინიმუმები:

ატმოსფეროს მიწისპირა ფენებში რადიონუკლიდების შედარე-  
ბით მაღალი კონცენტრაციები აღინიშნება დასავლეთ საქართ-  
ველოსა და მაღალმთიან რეგიონებში:

ამჟამად საქართველოში (დასავლეთ საქართველოს ჩათვლით)  
რადიოექსპონური სიტუაცია სტაბილურია და მიაღწია თავის  
ფონურ მნიშვნელობას, ოდონდ აუცილებელია ჩატარდეს ნიად-  
აგის ზედა ფენებისა და მცენარეული საერის დეტალური რა-  
დიოიზოტოპური გამოკვლევა.

### **უაკ 525.7**

ლოგალური ატმოსფერული პროცესების მათემატიკური მოდე-  
ლი/გ.ლაზრიევი/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.185-  
190 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

შემოთავაზებულია ლოგალური ატმოსფერული პროცესების  
მოდელი, რომლებიც ვითარდებიან თერმული და დედამიწის ზე-  
დაპირის არაერთგვაროვანი ოროგრაფიის გავლენით. მოდელს  
საფუძვლად უდევს ატმოსფეროს ჰიდროთერმოდინამიკურ განტო-  
ლებათა სისტემების ამოხსნა. მოდელის რიცხვითი რეალიზაცი-  
ისათვის გამოყენებულია გახლეწვის მეთოდი.

### **უაკ 502.7 : 551.46**

საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის გაჭუჭყიანების დონის დინამიგის შესწავლა და მასზე მსხვილი სამრეწველო ქალაქების გავლენის შეფასება/გ.გაჩეჩილაძე, ლ.შავლიაშვილი, ნ.ბუაჩიძე, გ.ჩაჩიბაია/ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.101 გვ.191-195 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

შესწავლილია შავი ზღვის წყლების გაჭუჭყიანება ნავთობ-პროდუქტებით, ფენოლებით, ქლორორგანული შეამქიმიკატებით, მძიმე ლითონებით ბათუმისა და ბიჭვინთის რაიონებში.

გამოთვლილია დასაცავეთ საქართველოს მდინარეებით გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა ჩამონადენი შავ ზღვაში და მსხვილი სამრეწველო ქალაქების გავლენა შავი ზღვის აუზის მდინარეების ხარისხები.

### **უაკ 502.7 : 63**

თბილისის ნიადაგების ეკოლოგიური მდგომარეობა/ლ.ჩხიკვაძე, გ.ყულიჯანაშვილი/. ჰმი-ს შრომების კრებული -1996 - გ.101 გვ.196-200 - ქართ.; რეზ.: ქართ,რუს.,ინგ.

მოცემულია თბილისის ნიადაგებში მძიმე ლითონების შემცველობა და განაწილება, აგრეთვე ტოქსიკურ ნაერთოთა კონცენტრაციების ცვლილებები. შედგენილია გარემოზე სხვადასხვა გამაჭუჭყიანებელ ნაერთოთა უარყოფითი ზეგავლენის შემცირების რეკომენდაციები. მიღებული შედეგები გვიჩვენებენ, რომ მძიმე ლითონების განაწილება ნიადაგის ფენებში ემორჩილება გარკვეულ კანონზომიერებებს, რომლებიც დამოკიდებულია გამორეცხვისა და ბიოლოგიური აკუმულირების პროცესებზე, აგრეთვე ადამიანის საქმიანობაზე. მძიმე ლითონების კონცენტრაციების მაქსიმუმი თბილისისათვის აღინიშნება სამრეწველო ზონებში და საცხოვრებელ მასივებში. შამრეწველო ობიექტების ორგვლივ მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანება აღინიშნება რამდენუმდე კილომეტრის რადიუსით გაჭუჭყიანების წყაროდან. შედგენილია ნიადაგის მძიმე ლითონებით გაჭუჭყიანების რუკები თბილისის სხვადასხვა რაიონებისათვის, რომელთა დახმარებითაც შეიძლება ობიექტებზე შევაფასოდ ნიადაგში მავნე ნაერთოთა დაგროვება და განაწილება.

## **უაკ 502**

ეკოლოგიური სისტემების გენეტიკური მდგრადობა და მათი პროდუქტიულობის თერმოდინამიკური მოდელი./ე.კვაჭანტირაძე/. პმი-ს შრომების კრებული -1996 - ტ.101 გვ.201-205 - ქართ.; რეზ.: ქართ, რუს.,ინგ.

წარმოდგენილი იქნა რომ, ელემენტარულ სტრუქტურული ეპოლოგიის ერთეულად გენეტიკურად მდგრადი სისტემა, რომელსაც შესაძლებელია მივაკუთვნოთ ბუნებრივმდერიტორიალური კომპლექსი (ბტკ).

დამუშავებულია ბტკ-ს პროდუქტიულობისათვის თერმოდინამიკური მოდელი, რომლის რეალიზაცია საშუალებას მოგვცემს სწორად იქნება შეფასებული ბტკ-ს პოტენციალური შესაძლებლობები და გაპეთდეს პროგნოზი ბიომასის მატების ფოტო და აგროცენოზისათვის.